სტამბა და რედაქცია
ფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა
ხელ-მომწერნი გაზეთის დასაკე-
მიმართონ რედაქციას დილის
საათამდე და საღამოს 6—7
„ც. ფ. სახ." წიგნის მაღაზიას.
დამოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
პირ მოლაპარაკება რედა ქ-
რთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

**იოსებ იმედაშვილი ძმითურთ** აუწყებს მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელის დისას

## ოლგა ზაქარის ასულის ზუხნაძისას.

...იცვალებული დასაფლავებულ იქმნება კვირას 11 აპრილს, სახ...ოიდან (მეორე ხევის ქუჩა, გოგიაშვილის სახლი, № 21) გაასვე...ნებენ კალოუბნის ეკკლესიაში. პანაშვიდი დღეს 8 საათზედ.

(2—1)

## თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილების

ღვინის საწყობი



## „იყალთო"



...რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე სახლი ანტანოვისა № 19. ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღეთ: ხორხელ-ჯანაანიდან **სიკო აბელაშვილის** ღვინოები. ამასთა... მივიღეთ:

იყალთოდან, რუისპირიდან და ახნეტიდან

მომავალი დღესასწაულების გამო მსყიდველებს დაეთმობათ შემცირებულ ფასებში.

ვინც ათს ბოთლს ერთად იყიდის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...კაპ. დაეთმობათ | 25 კაპ. დაეთმობათ | 30 კაპ. დაეთმობათ | 40 კაპ დაეთმობათ | 50 კ. დაეთმობათ | 60 კ. დაეთმობათ | 80 კ. დაეთმობათ | 1 მან. დაეთმობათ |
| ...×0 კ. | 2 მ. 20 კ. | 2 მ 50 კ. | 3 მ. 30 კ. | 4 მან. | 5 მან. | 6 მ 50 კ. | 7 მ. 50 კ. |

ამასთანავე ქართველ საზოგადოებისთვის შემოვიღეთ **გაუწურავი ღვინ**ოდვა. იმედი გვაქვს ჩვენის ღვინოებით საზოგადოება კმაყოფილი დარჩება.

(6—1) პატივისცემით თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილები.

## ვ. გუნიას სტამბა

სააღდგომოდ

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომაა.

...ვიღეთ სწორეთ იმ ფირმებიდამ ...ა ისეთივე საიმედო, როგორც ...არსულ წლებში, ბაღდადების ...ევროპიული ჯიშისა დიდი მა...აბრეშუმის თესლი. მსურველთ ...ძლიანთ მოგვმართონ ჯერ-ჯე...ბით: ოზურგეთში, ახალსენაკში ...ბათუმში ჩვენს წიგნის მაღა...ზიებს, რომლებთაც დაეთმობა ...ერ იაფად. საიმედო პირს ვაძ...ლევთ ნისიათაც. ამასთანავე ვყი...დით სულ მცირე ფასათ ბჟოლის ნერგს და წიგნაკებს აბრეშუმის მოვლა მოშენებაზე.

(20—13) ძმ. თავართქილაძეები.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ქობანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** წარმომადგენელთა არჩევნები ბანკში. 8 აპრილს თავად-აზნაურთა კრებულის მიერ არჩეულ იქმნენ ბანკის წარმომადგენლები დანარჩენ მაზრებისაგან.

I. დუშეთის მაზრისა: ამომრჩეველი იყო 13 თავად-აზნაური და ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) ყარანგოზიშვილი გ. ა., 2) ქილაშვილი კ. ბ., 3) რატიშვილი ნ. ს., 4) გედევანიშვილი ვ. მ., 5) რატიშვილი თ. დ. ი., 6) რატიშვილი თ. ბ. ი., 7) რატიშვილი ი. გ., 8) ერისთავი თ. ზ. ე., 9) ხანდუკელი გ. ო., 10) ერისთავი თ. ლ. ა., 11) ხიმშიაშვილი თ. ნ. გ., 12) ერისთავი თ. შ. რ., 13) გედევანიშვილი დ. ა., 14) გედევანიშვილი მ. ა., 15) ყაზბეგი ი. ნ., და კანდიდატებად: 1) გედევანიშვილი ზ. ზ., 2) კობიაშვილი მ. გ., 3) კობიაშვილი ზ. ს., 4) ყარანგოზიშვილი ი. გ., 5) ერისთავი თ. ი. გ., 6) გედევანიშვილი ლ. ი., 7) რატიშვილი თ. გ. ი., 8) ფავლენიშვილი თ. ლ. ა., 9) ციციშვილი თ. ლ. მ.

II. ბორჩალოს მაზრისა: ამომრჩეველი იყო 16 თავად-აზნაური, ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) აბხაზი თ. გ. დ., 2) მელიქიშვილი თ. დ. ზ., 3) ჯამბაკურ-ორბელიანი თ. მ. ი., 4) ჯამბაკურიან-ორბელიანი თ. ა. ი., 5) საგინაშვილი ი. ბ., კანდიდატებად: 1) მელიქიშვილი თ. გ. მ., 2) ედიგაროვი სადიხ-ბეკი და 3) შანშიევი ი. შ.

III. თელავის მაზრისა: ამომრჩეველი იყო 14 თავად-აზნაური და ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) მაყაშვილი თ. დ. ს., 2) ჭავჭავაძე თ. ზ. გ., 3) ჩოლოყაშვილი თ. ბ. ო., 4) ჭავჭავაძე თ. ი. ს., 5) ჩოლოყაშვილი თ. ნ. ზ., 6) ჩოლოყაშვილი თ. ა. ზ., 7) ჭავჭავაძე თ. ა. ნ., 8) ერისთავი თ. მ. გ., 9) მაყაშვილი თ. ა. გ., 10 ვახვახიშვილი თ. ს. რ., 11) ვახვახიშვილი თ ა. რ., 12) ქობულაშვილი თ. ი. ა., 13) ჯორჯაძე თ. ი. ი., 14) ლიონიძე თ. ა. ს., 15) ჯორჯაძე თ. ი. გ., 16) ჯორჯაძე თ. გ. დ., 17) ვახვახიშვილი თ. ე. ს., 18) ჭავჭავაძე თ. ნ. გ., 19 ბარათაშვილი თ. ვ. გ., 20) მაყაშვილი თ. გ. დ., და კანდიდატებად: 1) რცხილაძე ვ. ი., 2) ყარალაშვილი თ. გ. ს., 3) ჭავჭავაძე თ. ს. გ.

IV. სიღნაღის მაზრისა: ამორჩეულ იქმნენ რწმუნებულად: 1) ვაჩნაძე თ. პ. რ., 2) ჩოლოყაშვილი თ. დ. ე. 3) ანდრონიკაშვილი თ. ი. ზ., 4) ვაჩნაძე თ. რ. ქ., 5) ანდრონიკაშვილი თ. მ. ა., 6) აბხაზი თ. კ. ნ., 7) ვაჩნაძე თ. ი. კ., 8) ვაჩნაძე ს. ს., 9) ანდრონიკაშვილი თ. ი. დ., 10) ანდრონიკაშვილი თ. ი. გ., 11) გიჟიმყრელი გ. ა., 12) ნასიძე მ. ა., 13) წინამძღვარიშვილი ა. ზ., 14) ჯანდიერი თ. ი. პ, 15) ვაჩნაძე თ. ი. გ., და კანდიდატებად: 1) ვაჩნაძე თ. კ. ლ., 2) ნაცვლიშვილი დ. კ., 3) ვაჩნაძე თ. ა. გ., 4) ვაჩნაძე თ. ა. გ., 5) ვაჩნაძე თ. ზ. გ. და 6) აბხაზი თ. ლ. ი.

*** ისევ მუხრან-ბატონის მამულის გამო. ხმა დადის, რომ კოს. მუხრან-ბატონის მამული, რომელიც მანთაშოვს უყიდნია 550 ათას მ. ეხლა უნდა შეისყიდოს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამაო, რომელსაც კიდეც მიუმართნია მანთაშოვისათვის და უთხოვნიათ დათმობა ხსენებულის მამულისა. მანთაშევს სრული თანხმობა გამოუცხადებია და უთქვამს, ჩემი დამიბრუნეთ რაც მუხრან-ბატონს მივე-

ციო და დღესვე ინებეთ ეგ მამული. ამ რიგად სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მართლაც ერთი საუკეთესო მამული ტფილისში დარჩება ისევ თავად-აზნაურობას.

*** **წერილი ქ. ბათომის გამგეობაზე.** გუშინდელ „ტფილ. ფურ." მოთავსებულია ბათომიდან წერილი, რომელშიაც მოხსენებულია გამგეობის უწესრიგობა იჯარით გაცემულს საქმეებში, მაგალ. სავაჭრო დუქნების აშენებაზე. ეჭვი არ არის, თუ წერილი ჩვეულებრივ ცალმხრივია, ქალაქის გამგეობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ხსენებულ წერილს, რადგან თუმცა პირდაპირ არა, მაგრამ ისე სტრიქონსა და სტრიქონს შუა ხსენებულ წერილში ბევრი ბოროტ-განზრახვა არის აღნიშნული.

*** **შეწირულობა ბოდბის მონასტრისთვის.** როგორც გაზ „კავკაზი" იუწყება, პოლკოვნიკ ყორღანოვს შეუწირავს ბოდბის მონასტრისათვის მიწა ყორღანოვისავე ქუჩაზე ვერის უბანში. ამ მიწაზე აპირებენ თურმე მონაზნებისათვის სენაკების აშენებასო.

*** **სეირნობა წ.-კით. გამ. საზოგადოების სასარგებლოდ** დანიშნულია მუშტაიდის ბაღში. სეირნობა ნააღდგომევს იქნება. შეწირულებას ეხლავე ღებულობენ.

*** **ვაჭრობა კვირა-უქმე დღეებში.** აღდგომის დღესასწაულების გამო ადმინისტრაციას ნება-დაურთავს ყველა დუქნები და მაღაზიებისათვის კვირა-უქმე დღეს ვაჭრობისა.

*** **მტკვრის ადიდება.** ამ უკანასკნელ დღეებში მტკვარმა ძლიერ იმატა და ეხლა თითქმის ოთხ არშინზე უფრო ამაღლდა წყალი თავის კალაპოტში.

*** **ჯარების სააგარაკოდ გასვლა.** წელს, როგორც გაზეთები იუწყებიან, ჯარები სააგარაკოდ გავლენ ტფილისიდან დამდეგის თთვის მაისის პირველში.

*** **კახეთი მეაბრეშუმეობა და მისი ჩარჩები.** კახეთში იშვიათი სოფელი იქნება, რომ დედაკაცები აბრეშუმის ჭიის თესლის მოყვანას არ მისდევდნენ. ისინი სულით და გულით მოწადინებულნი არიან, რომ თავიანთი შრომით ბევრი თუ არა ცოტათი მაინც შეღავათი მისცენ თავიანთ ქმრებს და ოჯახს.

ეს ათიოდე წელიწადი იქნება რაც გულ მოდგინედ შეუდგნენ ამ საქმეს, ეხლა როდესაც ყველამ ნათლად დაინახა ამ საქმის ნაყოფი, გულ მოდგინედ შეუდგნენ აბრეშუმის მოყვანას; მთელ კახეთში იშვიათი სოფელი და სახლი იქნება, რომ მთელი სახლი გაზაფხულზე აბრეშუმის ჭიით არ იყოს სავსე. ყველას, რასაკვირელია, კარგათ უწყის როგორი მძიმე ტვირთი ამის მოყვანა და ამისთვის მამაკაცებიც დედაკაცებთან ერთად დიდად თანაუგრძნობენ ამ საქმეს, როგორც სასარგებლო წყაროს თავიანთი ოჯახისა.

გაზაფხულის მზის სხივთან ერთად თელავში გაჩნდნენ ზაქათლელი ხოჯები, რომ თავიანთი კურთხეული მარჯვენით მორწყონ მთელი კახეთი ჭიის თესლით. აბა თვითონ როგორ გაუძღვებიან ამოდენა სოფლებს და ამისთვის მათ ჰყავთ დაჭერილი თელაველი კაცები, რომლებიც არიგებენ თესლს და აჰკრეჭვენ კიდეც შემოსავალს თავის დროზე. ისინი მომეტებულ ნაწილად არიგებენ სამესამედოთ და სამეოთხედოთ ვიდრე ჰყიდიან. სთესვენ, რასაკვირველია, მიტომ, რომ ზაფხულში ერთი ექვსად და მეტადაც მომკონ. თითო კოლოფს ჰყიდიან 3 ან 4 მანეთად, ერთი კოლოფიდამ ორთა შუა მოსავალი რომ მოვიდეს, გამოვა 6 ფუთი პარკი. თითო ფუთი-კი იყიდება 12 მანეთად. 12×=72 მ. აქედამ იმათ ერგებათ 26 ან 18 მანეთი 3 მანეთის მაგივრად. რა კარგი იქნება, რომ „კავკ. საიმპ. სამეურნ. საზოგადოებამ" ილონოს რამე ღონე, გახსნას განყოფილება თელავში ჭიის თესლის გასასყიდათ და ამით იხსნას მთელი კახეთი ზაქათლელი ხოჯებისგან და ასეთი მევახშეობისაგან.

თელაველი.

# ვაზის წამლობა

**რითი გვიჯობს ვეწამლოთ ვაზის ობსა და შავ ჭორს?**

ვუძღვნი ძვირფას მშრომელს და დაუვიწყარ მასწავლებელს ბ. არჩილ დარეჯანაშვილს (Мильдю и блэкротъ) ავტორისაგან.

ყველას კარგათ მოგეხსენებათ თუ რა შეუბრალებელი და საზარელნი მტერნი არიან ზემოხსენებულნი ვაზის სენნი, როგორც თვით მთელი ქვეყნის ვენახებთათვის, აგრეთვე მათ პატრონთა ჯიბე კეთილდღეობისათვის.

აგერ ორმოცი წელი მეტია, რაც ვაზის ომმა თავი იჩინა დასავლეთ ევროპაში და მეტადრე მევენახეობით სპირველ ქვეყანა—საფრანგეთში გამოუთქმელი და აურიცხველი ზარალი მოუტანა იქაურ მევენახეობას, მცხოვრებთ და მთლად სახელმწიფოს. აღმოსავლეთ ქვეყნების ვენახები კი კიდევ დიდხანს იყვნენ თავისუფალი ამ სენისაგან და ამ დროს, უნდა კიდეც ითქვას სიმართლით, რომ მათ ბევრიც მოიგეს თავიანთი უძლეველ მოცილეთა (დასავლეთ ევრ. ვენახების) ამოვარდნით. ნათქვამია: „ღმერთმა ერთი რით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო" და ასეც მოხდა. მაგრამ ეს პარპაშობა აღმოსავლეთმა დიდხანს ვერ შეირჩინა, რასაკვირველია, უფრო თავის გაუფრთხილებლობის გამო, და აწ აგერ კარგა ხანია, რაც მასაც ეწვივნენ ეს დაუპატიჟებელნი და თათარზედ მართლადაც უარესი სტუმრები.

სხვათა შორის, არც ჩვენი ქვეყანა დაგდეს უყურადღებოდ ამ შესანიშნავ მქადაგებელ მთესველთ და დიდის სისწრაფით და მეყაითად გაავრცელეს და ავრცელებენ ახლაც თავიანთ სჯულს, ხასიათს და სთესვენ თავიანთ თესლს უძველესს და ოდესმე საქვეყნოდ განთქმულს კავკასიისა და საქართველოს ზვრებში. ამ გვარად ჩაგვყარე ჩვენც, მათი პატრონნი დიდს განსაცდელსა და სილატაკეში ჩვენის უმთავრესი ცხოვრების წყაროს მოკლებითა და მოშრობით და ძველად უპირველეს მეომარ და მოლაშქრე კავკასიელთ და ქართველთ დღეს ველარ აგვისხავს იარაღი, ვერ შევჭიდებივართ რიგიანათ და ამიტომ ვერც დაგვიმარცხებ-მოგვიშორებია, არამც თუ აუარებელი ჩვენი დამღუპველი მტერი, რომელიც ყოველ დღე გვჩაგრავს და გვაცლის პირიდან დღიურ საჭირო ლუკმას, არამედ ეს ორი იმგვარი ჭირვაგლახიც კი, რომელთაც დიდი ხანია მოუნახეს მისი სასიცოცხლო ძარღვები, მოუწამლეს მას შხამით საზრდო. შეებრძოლ-შეეჭიდნენ და დღეს თითქმის სრულიად და-მარცხ-დაიმორჩილეს იგინი ეკონომიურად და მეცნიერულად დაწინაურებულმა დასავლეთ ევრ. ხალხებმა. ნეტავი მათ დედას!.. ბიჭებიც ისინი არიან და ქუდების ხურვაც მათ შეშვენით!.. ჩვენ კი... ჩვენ აწ თითქმის აღარას წარმოვადგენთ! დაგვილია პირი, და დაგვიკრეფია გულხელი და გავიძახით: „ყველაფერი ღვთის ნებაა, ვენაცვალე იმის მადლსა და სახელს, რასაც უნდა იმას მოგვივლენსო". ან კი რა გვეთქმის მეტი?! გულითაც რომ გვინდოდეს მტერთან გამკლავება, ძალა აღარ შეგვწევს. ზოგს ცოდნა გვაკლია, ზოგს შეძლება, ზოგს მოქმედება და ყველას კი ერთად მგონი ხომ სულყველა.

ყველა ეს მოვლენანი ჩვენს აწინდელს ცხოვრებაში და ჩვენი უთვით-მოქმედება დიდად სასირცხვილო თავ-მოსაჭრელია და რასაკვირველია, არა სასურველი, მაგრამ იქამდის მაინც ნუ მივახწევთ, რომ სხვების მიბაძვა და მათი კარგი მაგალითების აღება მაინც არ შე-
გვეძლოს: თუმცა კი თუ გულ-
დებდა, ჩვენც შეგვეძლო გამოგვ
ტებილი ქადა და ორი ხელით გ
მა; ჩვენც შეგვეძლო გვეშვა
მეობადი. ვიდრე ეს ასე არ ა
ვიმეორებ, გავიცნოთ სხვის
მედებანი მაინც და მათ ყ
კარგ მაგალითებს მივბაძოთ,
სარგებლოდ მათი გამოცდილ
ცოდნა-გამორკვევით და ვიხს
თავი სრულიად დაღუპვისა
ჩვენი სამუდამოდ აღგვის
პირისაგან ამა ქვეყანისა;
ნაიდან ჩვენთვის არავინ
ნავს და თავს არავინ
იწუხებს ჩვენი გულისათვის,
არ ისევ ჩვენ თვითონვე.

მხოლოდ რადგანაც თვით
სავლეთ ევროპაში მევენახეო
მხრივ პირველობის გვირგვინი
გია საფრანგეთს, რადგანაც
ყველაზე მეტად დაზარალდა ამ
ნებისაგან და, მაშასადამე, რა
ნაც ყველაზე მეტად იგი ეცად
გააკეთა მათ წინააღმდეგ ბრძო
ველზედ, ამიტომ გვიჯობს მისგან
ვიწრთვნათ ამ გვარ მეომარ-
მაშ გადავიდეთ პირ-და-პირ ს
ზედ.

რაწამს ევროპიელებმა თავ
ძვირფას და კეკლუც ვაზებს
სენიანება და უკანსვლა შე
ჩვენსავით ღვთის მოვლინ
კი არ ჩათვალეს ეს, რა
ნაც იგინი ჩვენზედ უფრო
კარგი მორწმუნენი არიან და
განაც მათ კარგათ ესმოდათ,
ყოვლად მოწყალე და კეთ
ღმერთი არავისთვის ცუდს
ნებულობს არასოდეს, არამედ
შანვე დაფაცურდნენ იმის გა
საკვლევად, თუ რის მიზეზია
ვენახების გახრება. ვინ არის
თი მტერი? და რითი მოიგე
იგი.

ამ გამოკვლევებს შეუდგნენ
ქმის ყველა წოდების, ღირს
ხელობის, ქონების, ადგილის
ცოდნის კაცი. ყველა თავის
და თავისებურად ცდილობდ
იკვლევდა ამ მოვლენას და მ
ლაც, ცდამ მათ ამაოდ არ
რა. მათ მალე შეიგნეს მიზ
სცნეს მტერი და გამოუძებნ
მათ მათი წამლები.

გ. ლეხურე

(შემდეგი იქნება)

## სამეურნეო ცნობ

მცენარეთა მეტყველება (ბოტ

(შემდეგი *)

ჰკაკვა (ქართული) ჭრშნი (
ხური) დაგდაგან (თათრული)
კას (რუსული) ცელტის აუს
ლის (ლათინური), ბევრი სხვ
სხვა ჯურისაა, რომლებიც
ვიან ერთი ერთმანეთს ფოთლ

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 793.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტების და ნაყოფის აგებუ-
ბითი, სხვა მცენარესავით ნაზი
არის, ყველა ნიადაგს კარგათ
ნს, გვარობს მთებში, ტყეში,
ღორში, არ ეშინიან ხრიაკ ად-
ებისა, როგორც გამძლე ხე,
მასალას მეურნეობაში აქვს
ი მოთხოვნილება. ნაყოფი
კიანია ბალა-მწარა ნაყოფის
ხოა, ზემოდამ აკრავს ხორცი
ОТЬ) შემოუსვლელი მწვანე
ისაა, როცა შემოვა შავდება,
ოფს სჭამენ, მაგრამ ცოტათი
კავო გემოსია. ამ ნაყოფით
რო სარგებლობენ ფრინველე-
მის ნაყოფს ხმარობენ აფთია-
ში სისხლის ფარაღათობის წი-
ლმდეგ (противъ крововаго
оса) თუმცა მე არ მიცდია,
ბენ მის ნორჩ ფოთლებითა
ბავენ აბრეშუმის ჭიასაო, მის
ქს ხმარობენ დაბახანებში, რო-
რც შნოიანი და ლაზათიანი ხე,
რად მას რგავენ ბაღებში,
ებში დ ყვავილნარებში. მრავლ-
: თესლით გაზაფხულობით
შემოდგომობით.

ჩა (ქართული იმერული გუ-
ლი) ბზაკალი (მეგრული) თო-
სიმშატ (სომხური) აშვეც,
, (აფხაზური) ხასაი (ჩერქესუ-
) სამშიტ, კავკაზსკაია პალმა
სული) ბუკსუს სემპერვირენს
თინური). ბევრი სხვა-და-სხვა
რისაა, რომლებიც ერჩევიან ერ-
ერთმანეთს; სიმაღლით, ფოთ-
ის ფერით და აგებულებით.
ლითად ზოგი მათში იზრდება
რონ ხეებათ, ზოგი ბუჩქებათ,
ი კიდევ ნახევარ ბუჩქებათ,
ი მათში მწვანე ფოთლებია-
ზოგი კიდევ მოჭრელო ფო-
ებიანია, ამ დაბალ ჯურის ბზას
რო ხმარობენ ყვავილნარების
ართავად (употребляются для
дюровъ). ეს მცენარე გვარობს
ლგან და ყველა ნიადაგზედ
ში და ტყეში, უყვარს კლდია-
ღგილები, მაგრამ იმერეთში,
იაში, აფხაზეთში, სამეგრელო-
სვანეთში და ბათომის ოლქ-
ამ მცენარით შედგება დიდ-
ი ტყეები. როგორც გამძლე
მშვენიერი ფერის მცენარე,
მასალას მეურნეობაში აქვს
ი მოთხოვნილება. ქერქი მწვა-
უქი ფერისაა, მაგრამ კანი და
ი ყვითელი ფერისაა როგორც
რანა. ყვავის ზოგგან თებერ-
ში, ზოგ. მარტში, ზოგ. აპ-
ში, ყვითლად, მის ყვავილით
ებლობს ფუტკარი, როცა
ნარე აყვავდება, მაშინ ისახე-
ვრილი მწვანე ნაყოფი, რო-
რც სამსეა წვრილ თესლით,
როგორც შემოუსვლელი ნაყოფი,
თესლი მომწვანო ფერისაა,
ეხაც ნაყოფი დამწიფდება მა-
ოროვე იოიბ მოწითა-
ლო ფერს, აქვს რგვალი თესლი, თუ ნაყოფი დროზედ არ მოიკრიფა, დასქდება ხოლმე და თესლი სულ ერთიანად ებნევა. რამწამს მოჰკრეფამთ თესლს, იმავე წამს უნდა დაითესოს დამიწავებულ სასუქით გაპატიმრებულ კვლებში, თუ თესლი დარჩა დიდხნობამდისინ დაუთესავი, მაშინ მას ეკარგება ღირსება და აღარ ვარგობს დასათესათა. ეს მცენარე ძალიან ნელ-ნელა იზრდება, ამის გამო მას მოაქვს პირველი ნაყოფი 25-დან კიდევ ოცდა ათ წლის თავზე. ცოცხლობს ხუთას წლამდისინ. ეს მცენარე ზამთარ ზაფხულ შემკულია მწვანე ფოთლებში, ამ მცენარეს უწინდელ დროს თურმე წმინდა მცენარეთ სთვლიდნენ, მას აქეთ დღევანდლამდისინ ქრისტიანი ხალხი ამ მცენარეს უყურებენ როგორც წმინდანს, ამის გამო ბზობის დღეს დიდი პატივისცემით დიდი და პატარა ეგებებიან ამის ტოტებს. უწინდელ მწერლების სიტყვით, როგორც მის ნაყოფს, ისე მის შხამიან ფოთლებს არა დროს არ ეკარება (არა სჭამს) საქონელიო, ამისათვის მის ყვავილიც შეადგენს უსარგებლო საზრდოს ფუტკრისთვისაო. მართლაც, რომ, რამდენიც ყურადღება მიმიქცევია, არც ერთხელ არ მინახამს, რომ, საქონელს ან ცხენს ან ცხვარს შეეჭამნოს მისი ფოთლები ან ნორჩი ყლორტები. შნოს და ლაზათის გულისათვის მას რგავენ ბაღებში, ეზოებში და ყვავილნარებში, ოღონდ დარგვის დროს, მდაბიო ხალხი მას ურჩევს წმინდა ადგილს, რომ მის გარეშემო არ იყვეს უწმინდურობა. მრავლდება: თესლით, პატარა ტოტებით, გაზაფხულობით და შემოდგომობით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

—

✦ ბოროტებისაგან წამალი ჰპოვნილი არის, მაგრამ საუბედუროდ არავინ იცის როდის უნდა მისი მიღება.

✦ კაცი ზეცას მოხვდება მხოლოდ სისიკვდილის შემდეგ

✦ ბევრი ჭუჭყი მაშინ გამოდის, როცა ხელი ხელსა ჰბანს.

✦ ყოველთვის გასწით წინ, ყოველთვის ემიეთ, ყოველთვის იმედი იქონიეთ.

✦ ადამიანს თავის თვალი ზეცას უჭვრის, ხოლო ფეხებით კი ქვიშაზე სდგას.

## გასართობი

—

ერეკლეს სიგმირე. ერთხელ გაცხარებული ომი რომ იყო ასპინძაში, მეფე ერეკლემ ჩვეულებრივის შეუპოვრობით გაუტია მტრებს. მხლებლებმა მოახსენეს მეფეს, რომ ცოტა მორიდებით ყოფილიყო და არ გაეფუჭებინა თავისი ძვირფასი სიცოცხლე. რა უნდა მიუგონ ამაზე უარესით, მიუგო მეფემ, ომში რა უნდა გააკეთოს კაცმა, ან უნდა გაიმარჯვოს ან უნდა მოკვდესო! მეორეჯერ, როცა მეფეს ჯარი დამარცხდა, მხლებლებმა ურჩიეს თავის საშველად გაქცევა. ამაზე დიდებულმა მეფე გმირმა მიუგო „თავის შველა ფეხებით კი არა ხელებით უნდაო“! და მეუტია მტერს და უკუ აქცია კიდეც.

# წვრილი ამბავი

—

როტშილდების ქონება. ყველამ ვიწყით, რომ თუმცა როტშილდებს აქა-იქ აქვთ ბანკები, მაგრამ საერთოდ ყველანი ერთს ძარღვის ცემას ემორჩილებიან. მთავარი ბანკი არსებობს პარიზში და ამგვარებივე ლონდონში, ფრანკფურტში და ვენაში. ამ ოთხი ბანკის შეძლება ამ ჟამად გამოიხატება 8,000,000,000,000 მან. (რვა მილიარდი). სულ უკანასკნელი რომ ვიანგარიშოთ და მათი წლიური სარგებლად მარტო 5% ჩავთვალოთ, მაშინ მარტო წლიური შემოსავალი ექნება 400,000,000 (ოთხასი მილიონი მ.) მაშასადამე როტშილდებს შეუძლიანთ ხარჯონ ყოველ წლივ 400 მილ. მან.; ყოველ თვე 35,500,000 მან., ყოველ დღე 1,200,000 მან, ყოველ საათში 50,000 მან. და ყოველ წუთს 800 მანეთი.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

7 აპრილი

**პარიზი**. განაგრძო რა ჩვენება, პიკარმა სთქვა, რომ საბუთის ქაღალდები სამინისტროს დრეიფუსის დაპატიმრების შემდეგაც მისდიოდა. პიკარი დარწმუნებულა, რომ ყველა ის საბუთის ქაღალდები, რომელნიც ანრის მიერ სიკვდილის ჩადენის შემდეგ აღმოჩნდა, ყალბია.

**ვაშინგტონი** სამოას კომისიის წევრებს აზრადა აქვთ სამოას კუნძულზედ ოთხი თვე დაჰყონ, შემდეგ ვაშინგტონში დაბრუნდებიან, სადაც კრებები ექმნებათ.

**სტამბოლი**. Agence be Constant“-ი იუწყება, რომ ცნობა, ვითომ სტამბოლში მრავალი მაჰმადიანი იქმნა დაპატიმრებული და ამ დაპატიმრებას კავშირი ჰქონდა ახალგაზრდა ოსმალებთან, სიმართლეს მოკლებულია.

**პარიზი**. დღეს საკასაციო სასამართლომ მაზოს თავმჯდომარეობით, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა სხვა და სხვა საკითხი დრეიფუსის საქმის სასამართლოში წარმოების წეს-რიგის შესახებ.

8 აპრილი

**პარიზი.** მაღნების პატრონებთან მორიგებისა გამო მალაროების მუშებმა შეთქმულობას თავი დაანებეს.

ჟიულ ლემეტრი თითონ იცავს თავისს თავს, ამართლებს-რა წესდებას და ლიგის მოქმედებას. სხვების სიტყვების შემდეგ ხუთი ბრალდებული დაჯარიმებულ იქმნა 16 ფრანკით.

**მადრიდი.** მანილიდგან მოსულ ცნობებით, ერთი გამოქცეული ესპანიელი ტყვე ლაპარაკობს, რომ მეამბოხეთ აქვთ 50,000 თოფი და 200 ზარბაზანიო. ყუმბარებიც საკმაოდ ჰქონიათ; შიგ ქვეყანაში მშვიდობიანობაა; სოფლებში მუშაობა თავისს რიგზე და წესზე მიდის; სანოვაგე ბლომად არის.


# განცხადებანი

გაზეთ „კავკასის“ კანტორაში

ისყიდება

რუსული ახალი წიგნი

**ნორ-ქალაქ**

(ბინოკლისა)

წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა.

**ფასი 1 მან.**, გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.

ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსათვის ტფილისში.

(20—8)

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

**„ბ ე რ ა ნ ჟ ე“**

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა წიგნის მაღაზიებში და ჰკლუსიებში.

ცხოვრება

ღირსისა და მოციქულთა სწორისა წმ. ნინო ქართველთ განმანათლებლისა

სურათით

გამოცემა მორჩილის რაჟდენ ბარამამისა.

წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს **ერთი შაური.** (10—10)

# ორთქლით მომუშავე ტამბა
# ექვთიმე ი. ხელაძისა

სტამბა — ტელეფონი 648. — ტელეფონი 648. — სტამბა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახლო შენობაში.

(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე მბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი-დამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ოდენობისა, ქართულ, რუსულ და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—17)

---

# „НИВА“

Подписчики „НИВЫ“ получають въ 1899 г.:

**52 №№** журнала „НИВА“ (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

**12 ТОМОВЪ** ПОЛНАГО СОБРАН. СОЧИНЕНІЙ И. А. ГОНЧАРОВА, которое явится первымъ по полнотѣ содержанія (такъ какъ въ него войдутъ разсказы, не помѣщен. въ прежн. изданіяхъ, стоящихъ **13 руб. 50 коп.**) и будетъ отпечатано на хорошей бѣлой глазированной бумагѣ.

**Подписная цѣна „НИВЫ“:**

| на годъ со всѣми приложеніями: | |
|---|---|
| Безъ доставки въ СПБ. **5 р. 50 к.** | Съ перес. во всѣ города и мѣстности Россіи . **7 р.** |
| Съ доставк. въ СПБ. **6 р. 50 к.** | |
| Безъ доставки: 1) въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской—6 р. 25 к., 2) въ Одессѣ, въ книжн. магаз. „Образованіе“—6 р. 50 к. | За границу 10 р. Разсрочка платежа въ 2 и 3 срока |

Даетъ въ теченіе одного 1899 года своимъ подписчикамъ

# БЕЗПЛАТНО
## полное собраніе сочиненій
# Гончарова

**Содержаніе: томъ I.** Портретъ и факсимилэ И. А. Гончарова.—Біографическій очеркъ С. А. Венгерова.—Лучше поздно, чѣмъ никогда. Критич замѣтки.—Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ частяхъ. Ч. I. **Томъ II.** Обыкновенная исторія. Ром. въ 2-хъ ч. Ч. II. **Томъ III.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч. Ч. I и II. **Томъ IV.** Обломовъ. Ром. въ 4-хъ ч. Ч. III и IV. **Томъ V.** Фрегатъ Паллада. Очерки путешествія, въ 2-хъ ч. Ч. I. Главы I—V. **Томъ** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. I. Гл. VI—VIII. Ч. II. Главы I—IV. **Томъ VII.** Фрегатъ Паллада. Очерки путеш., въ 2 ч. Ч. II. Гл. V—IX. **Томъ VIII.** Обрывъ. Ром. въ 5-ти ч. Ч. I и II **Томъ IX.** Обрывъ. Ром въ 5 ч. Ч. III. **Томъ X.** Обрывъ. Ром въ 5 ч. Ч. IV и V. **Томъ XI.** Три очерка: I. Литературный вечеръ. II. Мильонъ терзаній. III. Замѣтки о личности Бѣлинскаго.—Иванъ Савичъ Поджабринъ. Очеркъ. **Томъ XII.** Воспоминанія: I. Въ университетѣ. II. На родинѣ.—Слуги стараго вѣка. I. Валентинъ. II. Антонъ. III. Степанъ съ семьей. IV. Матвѣй.—Очерки: Превратность судьбы. Май мѣсяцъ въ Петербургѣ.

**12 КНИГЪ** «**Ежемѣсячныхъ литерат. приложеній**» (романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя статьи и пр. современ. авторовъ)-

**12 №№** «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ» (до 300 модныхъ гравюръ по послѣднимъ фасонамъ лучшихъ мастеровъ).

**12 №№** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ въ натуральную величину (около 600 рисунк. и чертеж ). СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ на 1899 г., печатан. красками.

**Иллюстрированное объявленіе высылается безплатно.**

Требованія адресовать въ Главную Контору журнала „НИВА“ С.-Петербургъ, Малая Морская, 22. (12—11)

---

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ уч** **заведеній.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2 часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣс

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ** **втора: Михайловская ул., № 71.** (100—8

---

# ОТКРЫВАЕТСЯ ПОДПИСКА

на безцензурный

НАУЧНО-ЛИТЕРАТУРНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „НАЧАЛО“

Журналъ «Начало» будетъ выходить ежемѣсячными книгами од 3 чатныхъ листовъ и содержать, кромѣ беллетристическихъ произведеній ковъ, стихотвореній, научныхъ статей по всѣмъ отраслямъ знанія и публицистическихъ, слѣдующіе постоянные отдѣлы: 1) внутреннее обо 2) обозрѣніе провинціальной жизни и письма изъ провинціи; 3) иностр обозрѣніе и письма изъ-за границы; 4) литературное и журналь нобо ніе.—Въ библіографическомъ отдѣлѣ журнала будутъ печататься подпис авторами рецензіи на вновь выходящія книги.

Въ ближайшихъ книгахъ будутъ помѣщены, между прочимъ слѣд произведенія: К. Баранцевичъ «Пожаръ» (разсказъ). В. Вересаевъ «Из нихъ встрѣчъ» (очерки).—Н. Гаринъ (Михайловскій) «Клотильда» (пов «Мессеръ Гвидо Кавальканти», разсказъ Анатоля Франса, въ перев. Ольденбурга.— Р. Гвоздевъ «Шаманъ» (разсказъ).—Н. А. Рубакинъ рошкино жертвоприношеніе» (Изъ воспоминаній голоднаго года).—З. герова «М. Метерлинкъ».—С. ф. Ольденбургъ «... ль лжебуддизмъ ге ссимизма?».—В. Г. Михайловскій «Развитіе русскаго земледѣлія въ XIX В. А. Іоновъ «Что такое „оскудѣніе центра“?»— А. Е. Лосицкій «Неу 1898 года».- Л. А. Кирилловъ «Неземледѣльческій отходъ крестьянск сселенія» М. И. Туганъ-Барановскій «Споры о Фабрикѣ и капитализм имъ критикамъ).—П. Б. Струве «Основные моменты въ развитіи крѣпо го хозяйства въ XIX в. въ Россіи».—П. П. Масловъ «Заработная плата и въ русскомъ земледѣліи».—Г. Зиммель «Задача соціологіи», перев. Б. А тяковскаго.

Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица: Б. В. Авило С. Баранцевичъ, С. Н. Булгаковъ, З. А. Венгерова, проф. В. И. Вер проф. К. А. Вернеръ. В. В. Вересаевъ А. Э. Вормсъ, Н. Гаринъ (Н. Г хайловскій), Р. Гвоздевъ, М. О. Гершензонъ И. А. Гурвичъ, М. И. вичъ, В. Э. Денъ, В. И. Ильинъ, В. А. Іоновъ, А. М. Калмыкова, Кирилловъ, Л. Ф. Крживицкій, А. А. Корниловъ, Б. А. Кистяковс В. Крестовская, проф. Д. Н. Кудрявскій, А. Е. Лосицкій, П. П. Ма В. Г. Михайловскій, Н. К. Муравьевъ, А. А. Никоновъ, кн. В. А. О кій, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскій, И. Х. Озеровъ, проф С. Ф денбургъ, В. В. Португаловъ, Н. А. Рубакинъ, А. А. Санинъ, В. Л. шевскій, П. Б. Струве, П. Ф. Тепловъ, В. Ѳ. Тотоміанцъ, М. И Барановскій, С. Л. Франкъ, В. Я. Яковлевъ (В. Богучарскій) А. И. Ярош

## УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

| | |
|---|---|
| Подписная цѣна съ доставкой и пересылкой на годъ . . . | 10 р. |
| « » « « « « « полгода . . . | 5 « |
| « « « « « « « три мѣсяца . . | 2 « |
| « « « « безъ доставки и пересылки . . | 9 « |
| « « « съ пересылкой за границу на годъ . . | 12 « |

Принимается подписка въ главной конторѣ журнала: Малая Итальянская 5 кв. 25 и въ отдѣленіяхъ конторы: въ библіотекѣ Черкесовой (Поповой), Невскій, 54, и въ книжномъ складѣ А. М. Калмыковой, Литейн

(10—8) Редакторъ-издательница **А. А. Воейк**

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Апрѣля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) გ. ცუხიასი), რედაქტორ-გამომცემელი